ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №85

01.06.2021 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“), ერეკლე კუხიანიძე, ლევან ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, მაჟორიტარი წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ნინო რუხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
3. **ირაკლი თავართქილაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30), გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 21 მაისის №12-03211416-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 21 მაისის №12-03211417-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 21 მაისის №12-032114197-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 27 მაისის №12-03211474-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 21 მაისის №12-03211416-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 20 მაისის №21.653.746 განკარგულებით, ასევე

დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - №0121106343-67(სამსახურეობრივი ბარათი: №16-012112168); №01211262-67; №01211042926-67(სამსახურეობრივი ბარათი: №16-01211261084); №01203492874-67 (სამსახურეობრივი ბარათი: №16-0121120127)).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№0121106343-67(სამსახურეობრივი ბარათი: №16-012112168) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №72.16.15.546, №72.16.23.856, №72.16.23.981, №72.16.23.982, №72.16.23.857 და №72.16.23.219) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის I შესახვევი №23, №25, №27; სოფელი თხინვალა, ქალაქი თბილისი, ფერმერთა ქუჩა №109-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №72.16.15.546, №72.16.23.856, №72.16.23.981, №72.16.23.982, №72.16.23.857; №72.16.23.219) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №140 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა ხორციელდება ასევე, სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №72.16.15.546, №72.16.23.856, №72.16.23.981, №72.16.23.982, №72.16.23.857 და №72.16.23.219) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01211262-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.008.244, №01.72.14.008.245, №01.72.14.008.295 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი-მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.72.14.008.244, №01.72.14.008.245, №01.72.14.008.295) და მიმდებარე უფლებადაურეგისტირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №143 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრისა და ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება.

შესაბამისად, ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.008.244, №01.72.14.008.245, №01.72.14.008.295 და მიმდებარე ტერიტორიაზე) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01211042926-67(სამსახურეობრივი ბარათი: №16-01211261084) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქ. №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტო კოდები: №01.17.13.045.100; №01.17.13.045.099; №01.17.13.045.038) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა №23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.17.13.045.100; №01.17.13.045.099; №01.17.13.045.038 (ნაკვ. 45/038)) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №160 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრისა და ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2).

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქ. №23-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტო კოდები: №01.17.13.045.100; №01.17.13.045.099; №01.17.13.045.038) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების

რეგულირების გეგმის შესაბამისად და მიმდებარედ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01203492874-67 (სამსახურეობრივი ბარათი: №16-0121120127) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.13.65; №81.02.13.651) ინდივიდუალური ერთბინიანი ან ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №353 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №159 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტუქტურას.

შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის შესაბამისად მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №0121106343-67(სამსახურეობრივი ბარათი: №16-012112168); №01211262-67; №01211042926-67(სამსახურეობრივი ბარათი: №16-01211261084) და №01203492874-67 (სამსახურეობრივი ბარათი: №16-0121120127)) განცხადებასთან (სულ: 4 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 21 მაისის **№12-03211416-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №0121106343-67(სამსახურეობრივი ბარათი: №16-012112168); №01211262-67; №01211042926-67(სამსახურეობრივი ბარათი: №16-01211261084); №01203492874-67 (სამსახურეობრივი ბარათი: №16-0121120127)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 21 მაისის **№12-03211416-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №0121106343-67(სამსახურეობრივი ბარათი: №16-012112168); №01211262-67; №01211042926-67(სამსახურეობრივი ბარათი: №16-01211261084); №01203492874-67 (სამსახურეობრივი ბარათი: №16-0121120127)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 21 მაისის №12-03211417-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 19 მაისის №21.649.738 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი

ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 10 წინადადება - №01211121597-67(№0121132120-67); №01211061386-67; №01211194545-67; №01211192529-67; №01210953230-67; №01210693849-67(№01210881536-67); №01211111371-67; №01211184307-67; №01211184232-67 განცხადება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01211121597-67(№0121132120-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ფერმწერთა II ჩიხი, №12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.16.007.308) მოთხოვნილია სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.14.16.007.308 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, გარდა №01.14.16.007.308 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა, სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება ხორციელდება მიმდებარე ტერიტორიაზეც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ფერმწერთა II ჩიხი, №12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.16.007.308) და მიმდებარე ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01211061386-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვეკუას ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.18.03.011.035, №01.18.03.011.028, №01.18.03.011.015, №01.18.03.011.033, №01.18.03.011.010, №01.18.03.011.004-ის ნაწილი და მიმდებარედ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

ვინაიდან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია ექცევა ისტორიული

ნაწილის დამცავ ზონაში, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებები რეგულირდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ზემოაღნიშნული დადგენილებითა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებითა და წესებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების თანახმად, №01211061386-67 განცხადების ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი განსახილველად წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (2021 წლის 29 აპრილის №15 ოქმი), პრივატიზების მიზნით, საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 23 აპრილის №0121113172 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, სატრანსპორტო ზონის ცვლილებას მიზანშეწონილად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო მიწის ნაკვეთებს შეუნარჩუნდება ტროტუარის ფუნქცია და მუდმივად დარჩება საზოგადოებრივ სივრცედ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვეკუას ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.18.03.011.035, №01.18.03.011.028, №01.18.03.011.015, №01.18.03.011.033, №01.18.03.011.010, №01.18.03.011.004-ის ნაწილი და მიმდებარედ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია მასზე ტროტუარის ფუნქციისა და საზოგადოებრივი სივრცის შენარჩუნების პირობით.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01211194545-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.20.076 და №81.02.20.121-ის ნაწილი) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 17 მაისის №01211371376 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), შესაბამისად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი და არ გამოიწვევს მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას.

ამასთანავე, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხორციელდება ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.20.076 და №81.02.20.121-ის ნაწილი) და მიმდებარედ ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01211192529-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თბილისი-კოჯრის XI ჩიხში მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდები: №81.02.08.425; №81.02.08.426) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 17 მაისის №01211372289 წერილით, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გავრცელებული ფუნქციური ზონის, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოწესრიგების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონტურის კორექტირება ფაქტობრივი გზის შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თბილისი-კოჯრის XI ჩიხში მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდები: №81.02.08.425; №81.02.08.426) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01210953230-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გუმბრის ქ. №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.005.046) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მოქცეულია ისტორიული ნაწილის დამცავ ზონაში. ამავე დადგენილების ტექსტური ნაწილის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ისტორიული ნაწილის დამცავი ზონით მოცულ ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებები რეგულირდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით, ზემოაღნიშნული დადგენილებითა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებითა და წესებით.

შესაბამისად, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებით დამტკიცებული "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების" მიხედვით, №01210953230-67 განცხადებით მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი განსახილველად წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 13 მაისის №60-01211331937 წერილის მიხედვით, ზემოაღნიშნული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (2021 წლის 29 აპრილის №15 ოქმი), საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური №18-01202593942 წერილით თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.17.01.005.046 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე არეალზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გუმბრის ქ. №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.17.01.005.046) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა და სააგენტოს ინიციატივით №01.17.01.005.046 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე არეალზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01210693849-67(№01210881536-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ანაპის 412-ე მსროლელი დივიზიის ქ. №23ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.12.04.001.116-ის ნაწილი და მიმდებარედ) მოთხოვნილია თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული ურბანული (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა.

ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული ურბანული (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 5 აპრილის №18-01210954349 წერილით, სამსახური თანახმაა დანართით წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 17 მაისის №61-0121137783 წერილის მიხედვით, სააგენტო არ არის წინააღმდეგი საპროექტო ტერიტორიას მოეხსნას შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანებული ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ანაპის 412-ე მსროლელი დივიზიის ქ.№23ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.12.04.001.116-ის ნაწილი და მიმდებარედ) თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული ურბანული (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.147) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

№01.15.07.003.147 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე, მათ შორის კერძო საკუთრებებზე/რეგისტრაციებზე ხარვეზის სახით გავრცელებულია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ვინაიდან, აღნიშნული სატრანსპორტო ზონა ფაქტობრივად არ წარმოადგენს გზას და ასევე ფაქტობრივად არსებულ გზაზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), არსებული ხარვეზის გასწორებისა და ფაქტობრივი მფგომარეობის ასახვის მიზნით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.147) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „თ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№01211111371-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, საირმის ქუჩა №18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.112.003) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №01211194281 წერილის მიხედვით, აღნიშნულ მონაკვეთს ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

- განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - **№01211184307-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.002.111) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 14 მაისის №01211341262 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიებზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, 4 მ/რ, №419-ის მიმდებარედ №01.19.39.002.062 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მიმდებარედ ტერიტორიის პრივატიზებას, შემდგომ მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.19.39.002.030) გაერთიანების მიზნით.

- განმარტებითი ბარათის „კ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - **№01211184232-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ზურგოვანში, ნუკრი გერგედავას ქუჩა №2ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.005.446) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 16 მაისის №01211363 წერილის მიხედვით, ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეულზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას, რომელმაც, შესაძლოა, სამომავლოდ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესში წარმოქმნას დაბრკოლება. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილ მონაკვეთზე ფუნქციური ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

გარდა ამისა, საპროექტო საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ (დასავლეთით) არსებულ ფაქტობრივ გზაზე მიზანშეწონილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზურგოვანში, ნუკრი გერგედავას ქუჩა №2ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.005.446) და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივასთან, ასევე, №01211121597-67(№0121132120-67); №01211061386-67; №01211194545-67; №01211192529-67; №01210953230-67; №01210693849-67(№01210881536-67); №01211111371-67; №01211184307-67; №01211184232-67 განცხადებასთან (სულ: 10 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 21 მაისის **№12-03211417-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება - №01211121597-67(№0121132120-67); №01211061386-67; №01211194545-67; №01211192529-67; №01210953230-67; №01210693849-67(№01210881536-67); №01211111371-67; №01211184307-67; №01211184232-67 განცხადება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 21 მაისის **№12-03211417-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება - №01211121597-67(№0121132120-67); №01211061386-67; №01211194545-67; №01211192529-67; №01210953230-67; №01210693849-67(№01210881536-67); №01211111371-67; №01211184307-67; №01211184232-67 განცხადება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 21 მაისის №12-032114197-03 წერილი)

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ო. ჩიტიძე.

მომხსენებლის (ო. ჩიტაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

სწორი ურბანული ქსოვილის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია ტერიტორიის უზრუნველყოფა შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით. კერძოდ, განაშენიანების რეგულირების წესების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ,,თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით."

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტსა

და დანართი №1-ის მე-8, მე-9 პუნქტებში შედის ცვლილებები სარეკრეაციო ზონებში საგამონაკლისოდ დასაშვებ სახეობებთან დაკავშირებით. კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-სა და სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)-ში სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დასაშვები ხდება ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობა.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 21 მაისის **№12-032114197-03** წერილით წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 21 მაისის **№12-032114197-03** წერილით წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 27 მაისის №12-03211474-03 წერილი)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ო. ჩიტიძე.

მომხსენებლის (ო. ჩიტაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტურ და გრაფიკულ ნაწილებში ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი №5-ის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019-2023 წლების სამოქმედო გეგმას წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიერ (დანართი №4) იდენტიფიცირებული არეალებისათვის კვლევების, განვითარების ხედვის და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ეტაპობრივი დამუშავება მუნიციპალიტეტის მიერ დაზუსტებული პრიორიტეტებისა და რიგითობის მიხედვით.

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილ არეალებთან დაკავშირებით სამუშაოები ეტაპობრივად მიმდინარეობს და აღნიშნული ღონისძიებების შესაბამისად, ცვლილებები ხორციელდება კანონმდებლობაში.

კონკრეტულად ვარკეთილის მასივის ქალაქგეგმარებითი არეალის შემთხვევაში, არსებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ მოცემულ არეალში დადგენილი რეჟიმი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ტერიტორიის დაგეგმარება მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად იყო შესაძლებელი, გადაულახავ წინააღმდეგობას წარმოადგენდა არეალში არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარებისთვის.

ასევე, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან აღნიშნულის განხორციელება წარმოადგენს საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს, რომელიც მოითხოვს მთელი რიგი მასშტაბური სამუშაოების ჩატარებასა და ამავდროულად, ბიუჯეტიდან დიდი ხარჯების გამოყოფას. შესაბამისად, უმჯობესია ტერიტორიის განვითარება შესაძლებელი გახდეს კერძო პირების მიერ დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმებით, თუმცა არა ქაოტურად, არამედ მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული პირობებისა და მითითებების შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შეეხო მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი №2-ის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტს, კერძოდ, ,,MB" არეალი როგორც მუნიციპალიტეტის მიერ დასამუშავებელი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებამდე სამშენებლოდ შეზღუდული არეალი, ამოღებულ იქნება ქალაქგეგმარებითი არეალების ჩამონათვალიდან. აღნიშნულ ტერიტორიაზე კი ,,MB" არეალის ნაცვლად განისაზღვრება ,,A" არეალი.

ასევე, იმავე დადგენილების 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, გაიწერა ის კონკრეტული პირობები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ვარკეთილის მასივის ქალაქგეგმარებითი არეალის სამშენებლო განვითარებისას. ეს პირობები კი შემდეგია:

''ა) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრება კ-2=5.0;

ბ) ტერიტორიის სამშენებლო განვითარებისას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, პრიორიტეტი ენიჭება შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხს ან/და ტერიტორიის სტრუქტურული გეგმარებას;

გ) სამშენებლო მოცულობის 18% (შემდგომში - სამშენებლო მოცულობის პროცენტულობა) გამოყენებულ უნდა იქნეს განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში ან მის გარეთ მესაკუთრეთა (მფლობელთა) დაკმაყოფილების ან/და მათ საკუთრებაში არსებული ფართების გამოსყიდვის მიზნით. სამშენებლო მოცულობის პროცენტულობიდან (18%) დარჩენილი ფართები, რომელიც არ იქნა გამოყენებული განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში ან მის გარეთ მესაკუთრეთა (მფლობელთა) დაკმაყოფილების ან/და მათ საკუთრებაში არსებული ფართების გამოსყიდვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გადაეცემა საკუთრებაში.

დ) ამ პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდგომ, განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალის გარეთ გამოსასყიდი მიწის ნაკვეთების დათმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მითითებით, ხდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ან/და სახელმწიფოს სასარგებლოდ.''

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, **აზრი გამოთქვეს:**

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი არეალი მდებარეობს მის სამაჟორიტარო ოლქში, სადაც განთავსებულია ე.წ. „ხრუშოვკები" და საკითხს ძალიან კარგად იცნობს. ეს პრობლემა ათწლეულებია საკმაოდ მწვავედ იდგა და დგას დედაქალაქის წინაშე, რადგან ე.წ. „ხრუშოვკების" ტიპის კორპუსების უმრავლესობა ავარიულ მდგომარეობაშია. იმის გამო, რომ საკითხი საკმაოდ სპეციფიკური და რთულად გადასაწყვეტია, პრობლემის გადაწყვეტის, ინვესტორების მოსაზიდად და მათი ინტერესების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაზრდილიყო განაშენიანების

ინტენსივობის კოეფიციენტი (კ2) 5.0-ით. ტერიტორია ექვს კვარტალად არის დაყოფილი და ცვლილების შეტანის შემდეგ, ნებისმიერ დაინტერესებულ კომპანიას (ინვესტორს) უკვე შეეძლება მოლაპარაკების დაწყება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, რადგან განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) 5.0-ით განსაზღვრით, თავისთავად უკვე მოიცავს ერთი მხრივ, ინვესტორის ინტერესს და მეორე მხრივ, ე.წ. „ხრუშოკვების" მაცხოვრებლების და დედაქალაქის წინაშე არსებული პრობლემის გადაწყვეტას.

ბ-ნი ო. ჩიტიძის განარტებით, ტერიტორიის კვლევა ჩაატარა კომპანია „არტ-სტუდიომ". კვლევაზე დაყრდნობით, გეგმარებით ნაწილში, ასევე, კვარტალურად დაყოფის ნაწილში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა განსაზღვრა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2=5.0) და შეიმუშავა წარმოდგენილი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ინვესტორების ინტერესებსაც.

ბ-ნი გ. დოხტურიშვილის წინადადებით, ასევე საჭიროა განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ავარიულ კორპუსებში ბინათმესაკუთრეთა მხრიდან, ფართის დატოვების (ბინებიდან გამოსვლის) თანხმობის მოპოვების საკითხის დარეგულირების მიზნით. ბატონი გ. დოხტურიშვილის განმარტებით, არის იმის პრეცენდენტები, როდესაც ავარიული კორპუსიდან მოსახლეობის გამოყვანისას, ბინათმესაკუთრეთა უმრავლესობა თანხმობას აცხადებს ბინების დატოვებაზე, მაგრამ ერთი ან რამდენიმე ოჯახის უარის შემთხვევაში, ვერ ხერხდება ავარიული კორპუსის რეკონსტრუქცია/გამაგრება ან მის სანაცვლოდ ახალი სახლის მშენებლობა. შესაბამისად, თუ ეს პრობლემა არ მოექცა სამართლებრივ ჩარჩოში, პრობლემა შეექმნება როგორც ინვესტორს, ასევე თავად ავარიული კორპუსების/სახლების მაცხოვრებლებს და, შესაძლოა, ერთი ოჯახის უარის გამო, საკითხის გადაწყვეტა, განსაკუთრებით მძიმე ავარიულ მდგომარეობაში არსებული სახლების პრობლემა გაგრძელდეს წლების განმავლობაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით **აზრი გამოთქვეს: ბ-ნმა დ. უთმელიძემ, ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", მაჟორიტარი წევრი) და ქ-ნმა ნ. რუხაძემ.**

ბ-ნმა დ. უთმელიძემ და ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", მაჟორიტარი წევრი) ისაუბრეს ავარიული სახლებიდან მოსახლეობის გამოყვანისას შექმნილ კონკრეტულ პრობლემებზე.

ქ-ნმა ნ. რუხაძემ ისაუბრა საქართველოს კანონზე „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" .

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 27 მაისის **№12-03211474-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 27 მაისის **№12-03211474-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი